

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პოტენციალური მოსახლეობის მონიტორინგის შედეგები**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოდერული ღრუბლოვანი, უნალექო, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდა-მთიან რაიონებში - 23-28 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

## ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი – ბათუმში

ბათუმში „World Travel Awards“-ის ევროპის დაჯილდოების გლა ცერემონიაზე ერთი დღით ადრე, ტურიზმის საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის სფეროს ექსპერტებმა, ინდუსტრიის წამყვანმა სპეციალისტებმა და მათგან უწყვეტად წარმომადგენლებმა მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და ინოვაციური მარკეტინგული სტრატეგიების მიმართულებით ისაუბრეს.

ბანელურ სესიას, რომელზეც საერთაშორისო მედიასაშუალებების EURONEWS-ის, Wanderlust Travel Media-ის, Emerging Europe-ის, EARTHPIX-ის ხელმძღვანელი პირები შიბრაალტარის ტურიზმის საბჭოს აღმასრულებელ დირექტორთან ერთად ფორუმის მთავარ თემებს განიხილავდნენ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე უძღვებოდა.



„Visit Batumi“, როგორც ევროპის წამყვანი ოთხი სეზონის ტურისტული დანიშნულება - ამ მიმართულებით სტუმრების სთვის სპეციალური პრეზენტაცია გამართა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ და სტუმრებს რეგიონის მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებზე, სერვისებსა და შესაძლებლობებზე ესაუბრა.

მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გლა ცერემონიის ჩატარება, პრესტიჟულია. ეს არის ძალიან დადებითი იმიჯი ჩვენი ქალაქისთვის და ქვეყნისთვის. საამაჟოა, რომ 25-ზე მეტი ქვეყნის ტურიზმის წამყვანი ინდუსტრიიდან გვსტუმრობდნენ წარ-

მომადგენლები. გაიმართა ძალიან საინტერესო ფორუმი, რომლის ფარგლებშიც ვიმსჯელებთ ისეთ საკითხზე, როგორცაა ტურიზმის მდგრადი განვითარების ტენდენციები მთელ მსოფლიოში და წამყვან ტურისტულ დესტინაციებზე. იყო საკითხები განახლებულ და ინოვაციურ მარკეტინგულ სტრატეგიებზე, აღინიშნა, რომ ბათუმს აქვს პოტენციალი, იყოს 4 სეზონის წამყვანი ტურისტული მიმართულება. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ტურიზმის ევროპის გლა დაჯილდოებას, ტურიზმის სექტორთან ერთად, ღირსეულად ვუმასპინძლებთ, - გვითხრა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსმა თინათინ ზოიძემ.

რის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ესწრებოდა. რეგიონის პირველი პირი სტუმრებს სიტყვით მიესალმა და აღნიშნა, რომ ის სტრატეგია, რომელიც აჭარას, ტურიზმის მიმართულებით აქვს, წარმატებით ხორციელდება.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გლა ღონისძიების ფინალი ბათუმში იმართება. ერთი დღით ადრე, საერთაშორისო ტურიზმის ფორუმს ვმასპინძლობთ, რომელშიც 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბათუმში ტრადიციად იქცა საერთაშორისო კონფერენციების, ღონისძიებების გამართვა. ეს, ერთი მხრივ, ეხმარება ტურიზმის განვითარებას და ჩვენი რეგიონს, ქალაქს ოთხივე სეზონზე აძლევს დატვირთვას.

წლებადელი საზაფხულო ტურისტული სეზონი, შეიძლება ითქვას, წარმატებულია და ამბიციურ ნოტაზე ვხვდებით. ეს ღონისძიებაც მოწმობს, რომ ბათუმი რჩება როგორც ევროპის, ასევე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. რა თქმა უნდა, გეგმა, რომელიც გვქონდა ტურისტულ ნაკადთან დაკავშირებით, არის შესრულებული. გვაქვს ზრდა ყველა მიმართულებით. ძალიან ძლიერია დინამიკა როგორც ტურისტული ნაკადების მხრივ, ასევე შემოსავლების. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ წლებში გავაგრძელებთ გრძელვადიან სარგებელზე მორგებულ ტურიზმის მშენებლობას“, - გვითხრა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ.

## ქართული დელეგაცია – ზალცბურგის მე-19 ევროპულ სამიტზე

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ზალცბურგის მე-19 ევროპულ სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ავსტრიის კანცლერის პატრონაჟითა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ორგანიზებით მიმდინარეობს. ამ ინფორმაციას აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს.

საერთაშორისო ფორუმს, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან ერთად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანი ესწრებოდნენ. ქართული დელეგაცია ზალცბურგში IRE-ს პრეზიდენტ ფრანც შაუსბერგერის მიწვევით იმყოფებოდა.

სამიტამდე, დელეგაციის წევრებმა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის გენერალურ ასამბლეაზე, IRE-ს მიერ გაწეული საქმიანობის (მათ შორის - ფინანსური) ანგარიში მოისმინეს.

სამიტის გახსნამდე, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საინფორმაციო მასალებს აჭარის შესახებ, რომლებშიც უმაღლესი საბჭო წარმოდგენილია როგორც ღია მმართველობის თვალსაჩინო მაგალითი.

ევროპული სამიტის პირველ დღეს მთავარი მოხსენებით ავსტრიის კანცლერი კარლ ნეშამერი წარსდგა.

დავით გაბაიძემ, დელეგაციის წევრებთან ერთად, შეხვედრები გამართა ევროპული სტრუქტურების ოფიციალურ პირებთან და რეგიონულ ლიდერებთან. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა ევროკომისარ იოჰანეს ჰანსს, რომელიც სამიტის მეორე დღეს მთავარი მოხსენებით წარსდგა.

დელეგაციის წევრებმა აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ზალცბურგის ლანდტაგის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს ლანდტაგის პრეზიდენტ ბრიჯიტა პალლაუფთან გამართულ შეხვედრაზე.

ყურადღება გამახვილდა ღია მმართველობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით საკანონმდებლო ორგანოების გამოცდილებაზე. აღინიშნა, რომ ამ მხრივ ორივე ინსტიტუტია რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით ლიდერობს, რაც თანამშრომლობის ინტერესს და შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზრდის.

საუბარი შეეხო რეგიონული თანამშრომლობის საკითხებსა და პერსპექტივებს. ამასთან, დავით გაბაიძემ, ლანდტაგის დელეგაცია 2024 წელს ბათუმში დაგეგმილ რეგიონული პარლამენტების კონფერენციაზე მოიწვია, რომელიც უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გაიმართება.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ზალცბურგის სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სკოლა.



ISSN 2720-8702

9 772720 870003

**გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

# აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მამდინარე და განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა

დარბაზი ბაზაიძე 514 22 22 80

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადება გააკეთა. მან აქცენტი მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ღონისძიებასა და ტურიზმის საერთაშორისო ფორუმზე გააკეთა, რომელიც ბათუმში 28-29 სექტემბერს გაიმართება. ასევე, შეაჯამა საზღვაო ტურისტული სეზონი

აჭარის ექსპლუატაციის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს უპრეცედენტო რაოდენობის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნა, იქნება ეს ბაღი, სკოლა, კოლეჯი თუ უნივერსიტეტი. ყოველწლიურად ბათუმს, აჭარას ემატება ახალი თანამედროვე სტანდარტის საგანმანათლებლო სივრცეები და აქვე აღვნიშნავ, რომ არც ერთი სკოლის მშენებლობა არ განხორციელებულა წინა ხელისუფლების დროს ბათუმში. მიმდინარეობს 90-მდე სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წელს 7 ახალი სკოლა შეიქმნა აჭარას და 15 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდა სასწავლო გარემო. ბათუმის განათლების და მეცნიერების ქალაქში უკვე ფუნქციონირებს ფიზიკა-მათემატიკის პროფილის ახალი სკოლა. განათლების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დაიწყო. იწყება 1000 სტუდენტზე გათვლილი ახალი საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობაა. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, ასობით სტუდენტის სწავლა დაფინანსდა



საზღვარგარეთ. 2023 წელს სხვადასხვა პროგრამით 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, ტურიზმის სფეროში ბსუ-ის 600-ზე მეტმა სტუდენტმა უკვე გაიარა პრაქტიკა გერმანიაში. 70 და 100%-იანი გრანტით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებს გადაეცემათ ფულადი ჩილდო აჭარის მთავრობისგან, რაც დამატებითი მოტივაცია იქნება მომავალი აბიტურენტებისთვის. ასევე, ბაღების მიმართულებით გვაქვს გარდამტეხი სიახლეები. აჭართული ოცნების „ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მხოლოდ აჭარაში აშენდა 58 ბაღი, მაშინ როცა „ნაციონალების“ დროს აჭარაში მხოლოდ 2 ბაღი აშენდა.

მივიღეთ გადაწყვეტილება, ბათუმის „დინამოს“ ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონით სარგებლობას გუნდი უსასყიდლოდ შეძლებს.

აჭარას წარმატებული საზღვაო ტურისტული სეზონი ჰქონდა. მუდმივად გვაქვს ვიზიტორთა მზარდი სტატისტიკა. ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, აჭარის რეგიონში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2 მილიონს აღემატება, რაც გულისხმობს, რომ 2022 წელთან შედარებით ვიზიტების რაოდენობა გაზარდილია 46.3 %-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით ვიზიტების რეგიონში გაზარდილია 20.2%-ით. ასევე, მატება გვაქვს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტშიც, საერთაშორისო ფრენების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით გაზარდილია 12%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 6%-ით, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

# ბათუმი ტურიზმის „ოსკარს“ უმასპინძლებს

დარბაზი ბაზაიძე 514 22 22 80

ჩვენი ქალაქი ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრად პრესტიჟული, მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ღონისძიებისთვის ემზადება. „ტურიზმის ოსკარის“ სახელით ცნობილი ღონისძიებას „World Travel Awards“ საქართველო წელს პირველად, 29 სექტემბერს უმასპინძლებს

დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიაზე სპეციალური ოთუ პროგრამით ქართული კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ისტორია და სტუმარმასპინძლობა იქნება წარმოდგენილი. ღონისძიების ფარგლებში ბათუმს 24 ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის, მედიისა და ტურიზმის სამთავრობო უწყებების 300-მდე წარმომადგენელი ესტუმრება, მათ შორის, პორტუგალიიდან, ვიეტნამიდან, ბრაზილიიდან, აშშ-დან, ნორვეგიიდან, შვეიცარიიდან და ნიდერლანდებიდან. აღსანიშნავია, რომ „World Travel Awards“-ს წელი უსრულდება 30 წელი უსრულდება.

ბათუმში საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები და უცხოელი ბლოგერები დაესწრებიან, მათ შორის იქნებიან Euronews-ის, BBC-ის, Wanderlust-ის, Emerging Europe-სა და EarthPix-ის ხელმძღვანელი პირები. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს. 29 სექტემბერს ბათუმში გაირიცხება, რომელი ქვეყნები, ქალაქები და კომპანიები დასახელდება ევროპის წამყვან ტურისტულ მიმართულებებზე და თუ კომპანიებზე და რომელი მთავარი აიღებს „World Travel Awards“-ის პრესტიჟულ ჯილდოს. „World Travel Awards“-ის ნომინაციებში წელს, ბათუმთან ერთად, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ბულვარები იქნება წარდგენილი. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის ნომინაციაში მარდიის, ედინბურგის, ბერლინის და სხვა ცნობილი, ევროპული ქვეყნების ბოტანიკურ ბაღებს გაუწევს კონკურენციას. ბათუმის 10 კონკურენტის შორის კი წელს ვილიუსი (ლიეტუვა), ლუბლიანა (სლოვენია), ბრავა (პორტუგალია), მატერა (იტალია) და მლჩეტა (ხორვატია) არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ბულვარს, ის ევროპის წამყვანი ტურისტული ღირსშესანიშნაობის ნომინაციაზე ეიფელის კოშკის, საგრადა ფამილიას, კოლინეუმის, ბუკინგემის სასახლისა და აკროპოლისის გვერდითა დასახლებული. ცნობისთვის: ტურიზმის „ოსკარი“ ბათუმში პირველად 2019 წელს აიღო. გასულ წელს, „World Travel Awards“-ის ევროპის ჯილდოს მოპოვების შემდეგ, ბათუმში ტურიზმის „ოსკარი“, უკვე როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ მოიპოვა. - აღნიშნულია ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციაში.

„World Travel Awards“-ის ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონიასთან ერთად, 28 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურიზმის ფორუმი. მის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის სფეროს ექსპერტებმა, ინდუსტრიის წამყვანმა სპეციალისტებმა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ორ მთავარ თემაზე - „მდგრადი ტურიზმის განვითარება და ინვესტიციები ტურიზმის ინდუსტრიაში“ და „მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიები, ციფრული ტრანსფორმაცია, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა“.

სტუმრებისთვის დაგეგმილია რეგიონის და ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, ქართული სტუმარმასპინძლობის ჩვენება და პრეზენტაციები. გაცნობითი ტურების ფარგლებში, ჩატარდება საინტერესო ტურები, მასტერკლასები და დეგუსტაციები. სტუმრებს ექნებათ საშუალება, გაეცნონ ქართულ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას. სპეციალურად მათთვის გაიმართება ქართული ფოლკლორული

## კვირის აპეჯიტი

მირიან მეფის ქუჩაზე სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ტროტუარები, დაიგება ფილები და მწვანე კორდი, დამონტაჟდება ელექტროსანათები, დაიდგება პარკისთვის გათვალისწინებული ინვენტარი. ამ ეტაპზე, უკვე მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები. მერის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები სამუშაოების დასრულებას, რისთვისაც 271 000 ლარია გათვალისწინებული, მიმდინარე წლის ნოემბერში ვარაუდობენ. სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს ანუხელოდისა და ადლიის ქუჩების კვეთაშიც, სადაც სპორტული მოედანიც მოეწყობა. წელს ქალაქში 7 სკვერი მოეწყობა, რისთვისაც მილიონ-ნახევარამდე ლარი დაიხარჯა. წლის ბოლომდე იგეგმება ევროპის მოედნის რეაბილიტაცია, თამარ მეფის გზატკეცილის №20-ში - სკვერის მშენებლობა, ჩაქვი კი - რეკრეაციული სივრცის მოწყობა.

ფერმა ჩვენს სკოლაში“ კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია და აგროკულტურის პლატფორმის წარდგენა გაიმართა. კონკურსის „ჟეკიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“ მიზანია ახალგაზრდებში აგრარული პროფესიების პოპულარიზაცია, აჭარაში დარგების გაახალგაზრდაება, აგრარული ტექნოლოგიების იმპლემენტაცია, აგრარული ექსტენციის მიწოდებაში კვლევის კომპონენტის შეტანა და გაძლიერება, აგრარული ექსტენციის საუნივერსიტეტო მოდელის მდგრადი განვითარება. აღნიშნული აქტივობები აჭარის საჯარო სკოლებისთვის, ბსუ-ის ექსტენციის ცენტრის ბაზაზე აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების მხარდაჭერითა და „მომავლის ფერმერის“ ორგანიზებით განხორციელდა.

27 სექტემბერს აფხაზეთის ომიდან 30 წელი გავიდა. ომში დაღუპულთა სხონის პატივსაცემად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშა დაუშვეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს, მინისტრთა კაბინეტის, ბათუმის საკრებულოს წევრებმა ყიული შარტავას მემორიალი გვირგვინებთა და ყვავილებით შეამკეს, კიდევ ერთელ გაიხსენეს და შეაფასეს ეს დღე. - 27 სექტემბერი უძძიმესი დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს, პატივს მივაგებთ უთანასწორო ომში დაღუპულ გმირ ჯარისკაცებს და თანადგომას ვუცხადებთ დევნილ ოჯახებს. დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანი, სამშვიდობო პოლიტიკით დავიბრუნებთ ერთმანეთს და დავბრუნდებით აფხაზეთში, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

დებისა და გმირობისთვის ფრიდონ მახარაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

მთა ჩირაუხის მიმართულებით ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, 6.5 კილომეტრზე ასფალტბეტონის საფარი მოეწყობა, აშენდება ერთი მილხიდი, ბეტონის კედლები, გაბიონები, მოინიშნება გზის საგალი ნაწილი და სხვა. რეაბილიტირებული გზით შუბნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები და მთა ჩირაუხი, სადაც ორზოლიანი ზიპლაინი შენდება, გარე სამყაროს შეუფერხებლად დაუკავშირდება. პროექტის სახელშეკრულებით ღირებულება 4 461 574.99 ლარია და იგი მომავალ წელს დასრულდება.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის მომღერლებმა და კონცერტმასტერებმა პროექტის „ოპერა მთაში“ ფარგლებში, ხულოს თეატრში საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. - გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ამ კონცერტში თავისი წვლილი შეიტანა. ვფიქრობ, დიდი ნაპერწკალი ჩავაგდეთ იმ სკვერისთვის და ურთიერთობისა, რომელიც მომავალში უნდა ააღდგოს. ევროპისა და ევროპული კულტურისადმი მისწრაფება თუ გვაქვს, ხელოვნების ეს დარგი უნდა განვითაროთ, - განაცხადა საოპერო დასის ხელმძღვანელმა და ვოკალის პედაგოგმა მარიამ ჭახუტაშვილმა.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების მკვიდრი ფრიდონ მახარაძე აფხაზეთის ომის გმირია. იგი 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. აფხაზეთის ომის გმირების სხონის უკვდავსაყოფად, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურის ტერიტორიაზე მემორიალი გაკეთდა. 27 სექტემბერს შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, ფრიდონ მახარაძის ახლოობლებმა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირთა მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. სამშობლოსთვის თავდა-

ბელგრადში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის, საქართველოს ნაკრების წევრმა, ხულოელმა მოჭიდავე ლერი აბულაძემ რამდენიმე წნის წინ მოპოვებულ ევროპის ჩემპიონობას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაამატა. ლერიმ 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოთხი მეხვედრა მოიგო.

ბათუმში, სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით ამნისტია გამოცხადდა. დროებითი წესი საქართველოს პარლამენტმა 2 წლის ვადით დაამტკიცა. გადაწყვეტილება იმ ობიექტებს ეხება, რომელთა მშენებლობა 2022 წლის 26 სექტემბრამდე დასრულებული. დაინტერესებულმა პირმა ექსპლუატაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, განცხადებით ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას უნდა მიმართოს. სამშენებლო სამართლებრივი, რომელსაც აღნიშნული მუხლის ამოქმედებამდე სამართლებრივი ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრა და ჯარიმის თანხა გადახდილი არ აქვს, აღნიშნული ვალდებულებისგან თავისუფლება, აგრეთვე, წყდება სამშენებლო სამართლებრივი საქმისწარმოება. ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით 66-მა ობიექტმა მიმართა.



# აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შიშები შესაძლებელია თუ არა სამხრეთკავკასიური კავშირის შექმნა?

ლანა ხომბრიძე 593 50 82 69

სამხრეთ კავკასიაში პროცესები საინტერესოდ ვითარდება - აზერბაიჯანმა ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა, ყარაბაღის მესამე ომის შედეგად სეპარატისტული მთავრობა დათანხმდა ოფიციალური ბაქოს ულტიმატუმს იარაღის დაყრის თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთი არ ჩაერთო ყარაბაღის მესამე ომში მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. რუსეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, დასავლეთმა, ასე ვთქვათ, მწვაზე შუქი აუნთო აზერბაიჯანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვები: რა ფაქტორებმა განაპირობა აზერბაიჯანის გამარჯვება ომში? ყარაბაღის პრეცედენტი რა პერსპექტივებს უსახავს საქართველოსა და მოლდოვას? რამდენად მოსალოდნელია სამხრეთკავკასიური ერთობის შექმნა? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - „ჩიქას“ პროფესორი ბიორბი ძოგბერიძე გვსაუბრება.



**- ყარაბაღის ომში კიდევ ერთხელ გამოჩნდა რუსეთის არასამხედროლობა, ეს მოცემულობა გააცნობიერეს სომხეთში?**  
- როგორც ჩანს - დიახ. რუსეთისადმი უნდობლობა არა მხოლოდ ფაშინიანის ხელისუფლებას, არამედ მისი ოპოზიციის დიდ ნაწილსაც ღიად აქვს დაფიქსირებული. მხოლოდ ქოჩარაიანის ჯგუფს აქვს კვლავ პრორუსული

სასარგებლო იქნება და ევროპისთვისაც მეტად საინტერესო და სტაბილურ წერტილად გადაიქცევა.

**- ყარაბაღის პრეცედენტი რა პერსპექტივებს უსახავს საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

- ძალიან საინტერესო კითხვაა: ჩვენ გვაქვს პირველი შემთხვევა, როდესაც პოსტ-საბჭოთა სივრცეში ტერიტორიული მთლიანობა ქვეყანამ აღიდგინა ძალისა და ზეწოლის გამოყენებით. ამის ეშინიათ სეპარატისტებს სხვა ქვეყნებში. ზოგადად, გაკვეთილი უნდა იყოს ყველა სეპარატისტისთვის: შეიძლება გავიდეს ათწლეულები, მაგრამ ქვეყანა უარს არ იტყვის თავის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია, რომ სეპარატისტებს ესმოდეთ ერთი მარტივი რამ - წარმატებული სეპარატიზმი არსებობს მანამ, სანამ მათ ზურგს ძლიერი მხარდამჭერები უმაგრებენ. თუცა ძლიერი სახელმწიფოს მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს, რადგან დროს და სივრცეში ძალიან მალე იცვლება სიძლიერის ცნება. ამიტომ მოლაპარაკებები ყველაზე რაციონალური ნაბიჯი იქნებოდა. ყარაბაღს 2020 წლამდე

## ევროკავშირის უარმა მოსახლეობაში სიბრაზე, იმედგაცრუება და ნიჰილიზმი შეიძლება წახალისოს, რაც წინააღმდეგობის უნარს დააქვეითებს. ეს შეიძლება მოხდეს არა იმიტომ, რომ დასავლური ღირებულებების დაკარგვა არ შეაწუხებს მოქალაქეს და არ გაბრაზდება, არამედ იმიტომ, რომ ნიჰილიზმი შეიპყრობს. პოლიტიკური ნიჰილიზმი განსაკუთრებული მოვლენა არ არის და ახასიათებთ გარდამავალ, ანუ ჩვენსაირ ჰიბრიდულ რეჟიმებს

პოლიტიკა. ზოგადად, ე. წ. ყარაბაღის კლანი-ყოველთვის პრორუსული პოლიტიკით გამოირჩეოდა, მაგრამ რუსეთისმაგვარ ავტოკრატი მოკავშირეზე ფსონის დადება სარისკოა, რადგან ავტოკრატები ღირებულებებით არ ხელმძღვანელობენ და უფრო ადვილად წირავენ მოკავშირეებს.

**- როგორც ამბობენ, კრემლის მთავარი მიზანი ფაშინიანის ხელისუფლების შეცვლაა, პროცესების როგორ განვითარებას ელოდები და დასავლეთს რისი გაკეთება შეუძლია სომხეთის პროდასავლური ხელისუფლების შესანარჩუნებლად?**

- რუსეთის მიზანია რეგიონში დარჩენა და სამხრეთ კავკასიის თავის უკანა ეზოდ ქვეყნა. ფაშინიანი მისთვის არასასურველია იმდენად, რამდენადაც ის სომხეთისათვის ახალ მოკავშირეებს, რუსეთის ალტერნატივებსაც ეძებს. ამასთან, კრემლში არ უყვართ რეველუციის გზით მოსული ლიდერები, ფაშინიანი კი სწორედ ასეთი ლიდერია, მაგრამ სომხეთში მარტივი აღარ იქნება პრორუსული ძალის მოსვლა. რუსეთის პოლიტიკური რეპუტაცია ძალიან დაზიანდა, ფაშინიანი კი კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ანტირუსულ განწყობებს, რათა დემონსტრანტების მისკენ მიმართული აგრესია რუსეთზე გადაიტანოს.

**- მას შემდეგ, რაც ყარაბაღის პრობლემა აზერბაიჯანის სასარგებლოდ მოგვარდა, რამდენად შესაძლებელია სამხრეთკავკასიური ერთობის შექმნა?**

- ამ ეტაპზე ნაადრევია ამაზე საუბარი, მაგრამ დამამედებელია ის ფაქტი, რომ სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც ოფიციალურად აქვთ ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა აღიარებული. თუკი მათ შორის სასაზღვრო კონფლიქტიც დარეგულირდა (რომელიც 2021 წლიდან მიმდინარეობს), ეს ახალ შანსებს დაბადებს. ზოგადად, ურთიერთთანამშრომლობა რეგიონის სამივე ქვეყნისთვის

რომ წარმართა მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან, იმგვარ ავტონომიას მიიღებდა, რომელიც შეიძლება არავის ჰქონდეს მსოფლიოში, მაგრამ ახლა მას ასეთი მოლაპარაკებებისათვის ბერკეტი აღარ აქვს.

**- სომხეთში ანტირუსული განწყობები მატულობს, რამდენად მოსალოდნელია, ერევანში რუსეთის სამხედროების გაყვანა მოითხოვოს ქვეყნიდან და რას უნდა გელოდოთ კრემლისგან?**

- გამორიცხვული არაფერია. პრინციპში, ახლა რუსეთისგან დისტანცირება ყველაზე ოპტიმალური ნაბიჯი იქნებოდა. მეორე მხრივ, რუსეთი ხომ არ შეეცდება სამხედრო გადატრიალებას ან რაიმე პერსონალურ ფაშინიანის წინააღმდეგ ასეთ შემთხვევაში? სწორედ ამიტომ ახლა დიდი სიფრთხილე და მოკავშირეების აქტიური ძიება მართებთ ერევანში.

**- ახლა ჩვენს ქვეყანაზე ვისაუბროთ: წლის მიწურულს ევროკავშირის საქართველოს მიმართებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. რა მოლოდინი გაქვთ?**

- ვიმედოვნებ, რომ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს და არა იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა პირობა შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ ეს ქართულ საზოგადოებას წახალისებდა, შემდგომშიც აქტიურად დაიცვას სახელმწიფო ინტერესები. სტატუსის მიღების შემთხვევაში, ეს უკვე იქნება მინიშნება, რომ ევროპის სრულფასოვან ნაწილად აღვიქმებით და ჩვენ განაცხადებთ სერიოზულ ნაბიჯებს მოითხოვენ, როგორც სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან. მარტივად რომ ვთქვათ, კანდიდატის სტატუსი პოლიტიკურად სხვა ლიგაში გადასვლას გულისხმობს, რაც ახალი შესაძლებლობები იქნება ჩვენთვის.

**- კანდიდატის სტატუსის მონიჭება არ**

მონიჭება რა პერსპექტივას და გამოწვევებს უსახავს ქვეყანას?

- თუკი ევროკავშირი მოგვანიჭებს კანდიდატის სტატუსს, ამას პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობა აღიქვამს თავის მონაპოვრად და რიგით მოქალაქეს მეტი მოტივაცია ექნება თავისი ღირებულებების დასაცავად. მაგრამ თუკი სტატუსი ვერ მივიღეთ, ეს იქნება სრული კარტლანში პრორუსული და ავტოკრატიული ძალებისათვის, რომლებიც ანტიდასავლურ რიტორიკასა და დღის წესრიგს შემოგვთავაზებენ და დაურთავენ პროპაგანდას - „დასავლეთის მინც არ ვუნდოვართ“. ევროკავშირის უარმა მოსახლეობაში სიბრაზე, იმედგაცრუება და ნიჰილიზმი შეიძლება წახალისოს, რაც წინააღმდეგობის უნარს დააქვეითებს. ეს შეიძლება მოხდეს არა იმიტომ, რომ დასავლური ღირებულებების დაკარგვა არ შეაწუხებს მოქალაქეს და არ გაბრაზდება, არამედ იმიტომ, რომ ნიჰილიზმი შეიპყრობს. პოლიტიკური ნიჰილიზმი განსაკუთრებული მოვლენა არ არის და ახასიათებთ გარდამავალ, ანუ ჩვენსაირ ჰიბრიდულ რეჟიმებს, რომელშიც პოლიტიკური საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მყარი. ნიჰილიზმი ერთ-ერთი საყვარელი იარაღია არადემოკრატიული რეჟიმების ხელში. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური მობილიზაცია კარგი მწვრთნელივითაა, რომელიც სულ ტონუსში გამოვლენს. ნიჰილიზმი ცუდ მწვრთნელს ჰგავს, რომელიც გეუბნება, მაინც არაფერი გამოვა არც შენგან და არც ჩემი წევრებიდან და რაც გინდა, ის აკეთეო. ნი-

ჰილიზმი დემოკრატიასაც კი რყვნის, რომ არაფერი ვთქვათ ჰიბრიდული რეჟიმის ავტოკრატიზაციისთვის ხელშეწყობაზე. 7-9 მარტის დღეებმა მოსახლეობას იმედი გაუჩინა, რომ ბრძოლას ჰქონდა აზრი, ევროკავშირისგან უარი კი, გარკვეულწილად, აღქმული იქნება (და შემდგომ, პერმანენტული პროპაგანდის მეშვეობით გამოიყენებენ პრორუსული ძალები) როგორც უარი არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ხალხის მისამართითაც. ცხადია, რაციონალურად შეიძლება ყველასთვის გასაგებია იყოს, რომ ეს უარი ხალხს არ უთხრებს, მაგრამ პოლიტიკურ განწყობებს მხოლოდ რაციონალიზმი არასდროს ქმნის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ობიექტურადაც, კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, პოლიტიკური ნაბიჯია და იგი როგორც უკრაინისა და მოლდოვის პროდემოკრატიული ძალების მხარდაჭერისა და მობილიზაციისათვის გადაიდგა, ისევე უნდა გადაიდგას საქართველოსთვისაც, მით უფრო, რომ პოლიტიკური კულტურისა და უოლარიზაციის თვალსაზრისით საქართველო მოლდოვაზე წინაა, ხოლო კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა უკრაინამ სულ ახლახან დაიწყო. ორივე სახელმწიფომ ბევრი ისწავლა ჩვენგან... და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ევროკავშირის არცერთი რეგიონი არ ესაზღვრება (მოლდოვისა და უკრაინისაგან განსხვავებით) და ჩვენს ყველა მეზობელს ამა თუ იმ ფორმით ომშია ჩაბმული სხვადასხვა ტერიტორიაზე. ცხადია, თავს არ ვიტყუებ - ამჟამად ჩვენს ქვეყანაში პროდასავლური და დემოკრატიული პროცესები შეფერხებულია და ძალიან მძიმე საყურებელია, როდესაც ქვეყანა ბევრ საკითხში ბევრს ხიდზე გადის, მაგრამ ახლა ევროკავშირის მხრიდან კანდიდატის სტატუსის მონიჭება სწორედ პოლიტიკურად ახალი იმედის დაბადებას შეუწყობს ხელს.

## ხიხანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ყოველწლიურად გაიმართება

მანანა პიძუშვილი 598 24 94 97

MG-ISE-23-1017).

29 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, სასტუმრო „იბრაჰიმ ხიხანმა“ საერთაშორისო საზაფხულო სკოლას აენიხა და კულტურის დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში“ უმასპინძლა პროექტი განხორციელდა ადგილობრივი ჰუმანიტარის აკადემია საქართველოს“ ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (გრანტის ნომერი

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, ადგილობრივი ჰუმანიტარის აკადემია საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა, მაინის ფრანკურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა მანანა თანდაშვილმა განაცხადა, ხიხანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება: „საზაფხულო სკოლის გამართვის ადგილად დასაკლებ არეალად სხალთა-ხიხანის ხეობა შემთხვევით არ შეგვი-

რჩევია. ამ ხეობის ისტორიული მნიშვნელობის გარდა, აღსანიშნავია მისი ლინგვოლოგიური და ეთნოგრაფიული თავისებურებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ აქ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქრისტიანული და მამულიანური აღმსარებლობის ადამიანები, რომელთა თანაცხოვრების საფუძველზე კულტურათა ერთგვარი სიმბიოზია წარმოქმნილი. პროექტის ფარგლებში მოპოვებულია მასალა ჩვენს ყველა მსოფლიოსს გადააჭარბა. მისმა ანალიზმა



იხ. მე-7 გვ.



# „ამორქალი ხარ, მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ“


ლაშა ხოშიაშვილი 593 50 82 69

„მსოფლიო იცნობს ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომების ისტორიას, მაგრამ არსებობს მუდმივი, უვადო ომი - ეს საქართველოს ისტორიაა“, - წერდა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი მერაბ კოსტავა

მართლაც, საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა. მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსული ცნობილია როგორც წარ-

მომავალი, რუსეთმა საქართველოს ძირძველი მხარის - აფხაზეთის ფაქტობრივი ოკუპაცია მოახდინა. რატომ ვერ შეინარჩუნა საქართველომ აფხაზეთი? შეიძლება თუ არა ამ უბედურების თავიდან აცილება? როგორ უნდა იმოქმედოს ჩვენმა ქვეყანამ შექმნილ ვითარებაში? - ეს კითხვები ხშირად ისმის, მით უფრო 27 სექტემბერს, როდესაც სეპარატისტებმა, ჩრდილოკავკასიელებმა და, უმთავრესად, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა

რეგულირება კანონის მიღებით, რომელიც აფხაზეთს მხარესთან ერთად დათმობას ითვალისწინებდა. მოგვიანებით ამ კანონს აპარტიდული უწოდეს, თუმცა ფაქტია, რომ საქართველო ამ ყველაფრით გადაურჩა ომს, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ცხადია, დამანგრეველი იქნებოდა, რაც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა. აფხაზეთის დაკარგვა, გარკვეულწილად, საქართველოს კანონიერი



**სამწუხაროდ, იმდროინდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევებს სათანადოდ ვერ უპასუხა. ზემოთქმულს გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, პრაქტიკულად, გაძლიერდა კონფრონტაცია სეპარატისტულ რეგიონებში, ცხინვალში განახლდა საომარი მოქმედებები, ხოლო აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი არ ემორჩილებოდა ოფიციალურ თბილისს**

მატებული, ისე ტრაგიკული ბრძოლებით. ისტორიულ წილსვლებს არ დავიწყებ, ეს მისია რომ იკისრო, ან ივანე ჯავახიშვილი უნდა იყო, ან დავით მეფის მემკვიდრე, თუმცა ის კი გვევალება, საქართველოს უახლოესი წარსული შეძლებისდაგვარად გავიხსენიოთ.

საქართველოსთვის ტრაგიკული თარიღია 1993 წლის 27 სექტემბერი, როდესაც დედაცა სოხუმი და ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა (იმედია, დროებით) აფხაზეთი. სხვაგვარად

აფხაზეთის ოკუპაცია განახორციელეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩრდილოეთში მეზობელმა ისარგებლა ქართული მხარის შეცდომებით. მაგალითად, ვიდრე საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა, ზვიად გამსახურდიამ გამოიწვია საერთო ენა აფხაზეთთან. შეგახსენებთ, 1991 წლის აგვისტოში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე სიტუაცია ომის ზღვრამდე მივიდა, თუმცა მოხერხდა კომპრომისის პოვნა და სიტუაციის და-

ხელისუფლების დამოხამაც განაპირობა, რადგან ქვეყანა სამოქალაქო ომში გაეხვია, ეკონომიკური განვითარება შეფერხდა, რუსეთის აგენტურა სახელისუფლებო ვერტიკალში მოქცეა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლეთს მაშინ არ ეცალა საქართველოსთვის - მან ჩვენი ქვეყანა რუსეთის გავლენის სფეროში დატოვა. ამგვარმა კომპონაციებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთის დაკარგვაში. რა გააკეთა ახალმა ხელისუ-

ფლებამ? იმის მაგივრად, რომ ერი გაერთიანებინა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, დაიწყო საზოგადოების დაყოფა ზვიადისტებად და არაზვიადისტებად. რაც ყველაზე მეტად სავალალო იყო, სამეგრელო ააწიოკეს, მიზეზი თურმე დამნაშავეების დაჭერა გახლდათ, არადა, რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, დასახირდა, დაინგალიდა და ეს მაშინ, როცა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სიტუაცია უარესდებოდა...

სამწუხაროდ, იმდროინდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევებს სათანადოდ ვერ უპასუხა. ზემოთქმულს გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, პრაქტიკულად, გაძლიერდა კონფრონტაცია სეპარატისტულ რეგიონებში, ცხინვალში განახლდა საომარი მოქმედებები, ხოლო აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი არ ემორჩილებოდა ოფიციალურ თბილისს...

იხ. მე-7 გვ.

# „ქალიან მიწა, ნაკუნ-ნაკუნ დაფლეთილი საქართველო გამთლიანდეს...“

## იკულაბით გადაადგილებული პირი - აფხაზეთის ომზე

მანანა პიძუშვილი 598 24 94 97

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია - დღეს სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ქართულ სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტებს შორის დაწყებული კონფლიქტი 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზ სეპარატისტებს დანაშაულებას რუსული სამხედრო ავიაცია უწევდა



დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ დაბირისპირებას 10 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. ბევრის საფლავი დღესაც უცნობია. 300 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ასობით ლტოლვილი მიიღო მაშინ აჭარამ. უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანები სახელმწიფო დაწესებულებების შენობებში განათავსეს, თუმცა არაერთმა ოჯახმა შეიფარა იძულებით გადაადგილებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი მოკეთებები.

გნებული და დათრგუნული ვიყავი, გავრცელებული ხმა, სეპარატისტი აფხაზები გადავითელების ხელით აფხაზეთში ქართველების ამოუღებლად აპირებენო, მართალი გამოდგა. მივდიოდი და ფიქრები მტანჯავდა, რა მოხდებოდა, ნუთუ დამთავრდა ჩემი ზღაპრული ცხოვრება, დავკარგავ ყველაფერს - სახლკარს, სამეგობროს, სამეზობლოს...

დღეს ერთ-ერთ მათგანს უფრო ახლოს გაცნობთ. ომი რომ დაიწყო, თალიკო გაბეჩავა მოსკოვში წავიდა, სადაც მისი შეილები სწავლობდნენ. ქალ-ვაჟი ოჯახს რომ მოეკიდა, სოფელ ჭკალუაში წამოვიდა, სადაც დედამამის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. მალე მეუღლედ გარდაეცვალა და თბილისში გადავიდა. 14 წლის წინ მამიდაშვილმა ბათუმში წამოიყვანა და მას შემდეგ აქ ცხოვრობს... გულისტკივილით იგონებს აფხაზეთს, მშობლიური მხარის დატოვების დღეს: „ომის დაწყების წინა დღეს, ადრე დილით, დედა მოვიდა და მეუბნება, სოხუმი უნდა დატოვოთ, ამბობენ, ხვალ ქართული ჯარი შემოდის აფხაზეთში და ცუდი რამ დატრიალდება... ვერ ვხვდები, ჩემი სახლი რატომ უნდა დამეტოვებინა. წინააღმდეგობა ვერ გავუწიე და... დილით სოხუმიდან წავიდა, დედამ დისშვილი გამომაყოლა. ჩავდივით ოჩამჩირეში. იქ ჩვენი მანქანა გზიდან გადააყენეს, რადგან მოპირდაპირე მხრიდან ჯარისკაცებით დატვირთული სატვირთო მანქანა მოდიოდა. გასცდნენ თუ არა ჩვენი ჯარისკაცები ოჩამჩირეს, სროლა ატყდა - აფხაზები მზად ყოფილან, წინააღმდეგობა გაეწიათ შემოსული ჯარისთვის. გზა ზუგდიდისაკენ გავაგრძელებთ... გაო-

იოკებდნენ ისინი როგორც ქართველის, ისე აფხაზის სახლებს, როგორ დაეაჩაღდეს ჩემი მეგობარი აფხაზი, წართვეს ყველაფერი, დატვირთეს მანქანა და მანქანაინად წაიღეს“... არ იყო ადვილი ამ ყველაფრის გადატანა. დღესაც ცრემლებით იგონებს ქალბატონი თალიკო მშობლიურ მხარეს, მაგრამ... ამბობს, რომ ბათუმში შესანიშნავი მეგობრები შეიძინა, მათთან ერთად არაერთი წელია, დილაობით ზღვისპირა პარკში ვარჯიშობს, ერთმანეთს განვლილი დღის, ოჯახურ ამბებს უზიარებენ. ამ ქალბატონებმა ჯგუფიც შექმნეს. „ლიმის ქალბატონები“ წელს ორგანიზაციადაც დარეგისტრირდა. ეწევიან ქველმოქმედებას, მათი საქმიანობის მიმართულება სპორტი და ახალგაზრდებთან ურთიერთობაა.

თალიკო გაბეჩავა ბავშვობაში ლექსებს წერდა. მოგვიანებით, როცა ამხელა ტკივილი გადაიტანა, ისევ დაიწყო ლექსების წერა. ამ რამდენიმე ხნის წინ მისი ახალი წიგნის წარდ-



იხ. მე-7 გვ.



# „რას უკვე ვიცო - უნდა გავცა, რომ კიდევ მეტი შევიძინო და ისევ გავცა“

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

**თვა ჰანტურიშვილი** აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. მასთან საუბარი შეახვედრე ჩვენი წყევლი, სადაც მან, ნიჭიერებისა და ახალგაზრდა საჯარო სკოლებში მოსწავლეებს, პედაგოგებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.



მია. მასსოვს, რეპორტი მისი ცინცაძემ გასაუბრების შემდეგ მიიხრა: მიხარია, აჭარიდან ასეთი კადრი რომ მოვიდაო. რჩევებს რაც შეეხება, იმ დროს ორივე მშობლისგან ვიღებდი, მაგრამ ახლა მხოლოდ ჩემს თავს და ინტუიციას ვენდობი, რომელიც თითქმის არასდროს მალატობს.

**- ქალბატონო თვა, პროფესიით დიპლომატი განათლების სისტემაში დეპარტამენტს ხელმძღვანელობთ...**

- ბევრმა არ იცის, მაგრამ თავდაპირველად განათლება პედაგოგიკაში მივიღე. დიპლომით დასავლეთ ევროპული ენების სპეციალისტი, პედაგოგიკის მაგისტრი ვარ. საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში რომ ჩავაბარე, უმაღლესი განათლება უკვე მიღებული მქონდა. პედაგოგიკა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო მაშინაც, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი.

**- დიპლომატიის პროფესია ვისი გავლენით აირჩიეთ?**

- დიპლომატიის კარიერით ოჯახში არავინ მყავს. ბავშვურ ოცნებებთან ერთად, ბევრი გატაცება და არჩევანი მქონდა. ბებია ბიოლოგია და მეც ბიოლოგობა მსურდა, ძალიან მინდოდა დიზაინერობაც, მაგრამ მძიმე დრო იდგა საქართველოში და კალამ-ინტელექტით ვარჩიე „ჯარისკაცობა“. ისე, სკოლიდან დაიწყო ეს ყველაფერი, როცა ფრანგული ენის პედაგოგმა ბათუმის ნომერ პირველ საჯარო სკოლაში ცისანა მეფარიშვილმა (ნათელი - მის სულს), განსაკუთრებული თვისებების და ენების ცოდნის გამო, სკოლის ინტერკლუბის პრეზიდენტად ამირჩია და 4 წელი ძალიან გულმოდგინედ ვასრულებდი ამ მოვალეობას.

**- სასურველი არჩევანის გაკეთების წინ, დედის რჩევას ითვალისწინებდით თუ მამის?**

- დედაჩემისგან გამომყვა ხატვის ნიჭი და ხელოვნების სიყვარული, ენებისადმი მიდრეკილება - მამისგან. ორივე ბედნიერი იყო, დიპლომატიურ აკადემიაში რომ ჩავირიცხე, ძალიან ცოტა ვინმეს თუ ეღებდნენ მაშინ. საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში იყო განთავსებული დიპლომატიური აკადე-

**- ბათუმელმა გოგონამ ცხოვრების მეგზურად იტალიელი აირჩიეთ...**

- ჩემი მეუღლე, რომელიც იმხანად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან თანა-

## ყველაზე ახლო მეგობრობა მაინც მილანის სათვისტომოსთან მაკავშირებს, შემდეგ ტოსკანის, ლიგურიის, კალაბრიის და, რა თქმა უნდა, რომის. იქ ჩვენი ემიგრაციისთვის უდიდესი პიროვნება გვყავს ელჩად - ქეთევან ბაგრატიონი. მალე ნეაპოლში დაგვეგმილი გვაქვს დიდი ღონისძიება - ამ ქალაქში მარტო სპორტით კი არა, ჩვენი კულტურითაც უნდა გვიცნობდნენ ქართველებს

მშრომლობდა, თბილისში, იტალიის საელჩოს წვეულებებზე გავიცანი. ორი წლის შემდეგ, რომ დაბრუნდა, თვითონ მომძებნა... ბედისწერა იყო აშკარად.

**- რამდენად იცნობდნენ მაშინ იტალიელთა ქართველებს?**

- 2004 წელს იტალიაში დავამთავრე ტრენსის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა. იქ მაშინ, კახი კალაძის სახით, ქართველები ფეხბურთის ფანებმა ნამდვილად იცოდნენ. მრავალი შემეცნებითი

სალამო გავმართე ქართული კულინარიით დაგვიგვიგინებელი, რათა გავეგოთ, რომ რუსები არ ვართ.

**- რამდენად შეიცვალა გარემოება „ნაპოლიში“ ხეჩა კვარაცხელიას დამკვიდრების შემდეგ?**

- რადიკალურად. ეს ბიჭი არის ანგელოზად მოვლენილი, პირველ რიგში, ქართველი ემიგრანტებისთვის, რომელთა მიმართ სასიკეთოდ შეიცვალა დამოკიდებულება. რომშიც კი, „ლაციოს“ გულშემატკივრები, რომლებიც მძაფრად განიცდიან თავისი გუნდის გამარჯვება-დამარცხებას, ხეჩას მიმართ დიდ პატივისცემას გამოხატავენ. ჩემი მეზობელი რომ მხვდებოდა რომში, ყველა ჭერზე თავისი იტალიური ჟესტიკულაციით მეუბნებოდა „Kvara forte, troppo forte“ ანუ „კვარა მავარია, ძალიან მავარია...“ ბათუმშიც ყველამ მოძებნა „გუგლი“, თუ საიდან ვამოვივინა ეს კაცი, რომელი კლუბიდან „ნაპოლიში“.

**- მრავალი წამოწყების ინიციატორად გვევლინებით. იტალიელი მხატვრები და მწერლები პირველად ჩამოვიდნენ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ზეკარათან“. აშკარაა, ამაში თქვენი დიდი წილი დევს.**

- მადლობა, რომ ეს დაინახეთ. ეს მაძლევს სტიმულს. დიახ, იტალიას ჩემი მეგობრით დაგუკავშირდით. ვახტანგ ბერიძეს

მადლობა, რომ აიტაცა ეს აზრი, საბოლოოდ შესანიშნავი პროექტი მივიღეთ. უკვე ხელთ გვაქვს წიგნი ორ ენაზე - ქართველი და იტალიელი პოეტების საერთო პოეზია, რომელიც იტალიის მასმედიაში ძალიან კარგად გავშუქდა. კულტურის ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანია, რადგან დიდ შესაძლებლობებს ხსნის იმისთვის, რომ გავაცნოს საქართველო მსოფლიოს და მსოფლიოც გავაცნოს აქ - ადგილზე.

**- რა ურთიერთობები გაქვთ იმ ქართველებთან, რომლებიც იტალიაში ცხოვრობენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან?**

- მათთან ურთიერთობა ჩემი საელჩოში მუშაობის პერიოდში დაიწყო. დღემდე ვმეგობრობთ. ვიცნობ მთელ ქართულ დიასპორას იტალიაში, მის თვალსაზრისში წარმომადგენლებსაც და ახლაც ყველა რეგიონთან მაქვს ურთიერთობა. ყველაზე ახლო მეგობრობა მაინც მილანის სათვისტომოსთან მაკავშირებს, შემდეგ ტოსკანის, ლიგურიის, კალაბრიის და, რა თქმა უნდა, რომის. იქ ჩვენი ემიგრაციისთვის უდიდესი პიროვნება გვყავს ელჩად - ქეთევან ბაგრატიონი. მალე ნეაპოლში დაგვეგმილი გვაქვს დიდი ღონისძიება - ამ ქალაქში მარტო სპორტით კი არა, ჩვენი კულტურითაც უნდა გვიცნობდნენ ქართველებს. ნეაპოლი თვითონ დიდი კულტურის ქალაქია, სადაც პირველი კონსერვატორია და ოპერის თეატრი დაარსდა. თუ ვინმე აღიარებული პიროვნება ჰყავს იტალიას, განსაკუთრებით - კინოსა და მუსიკაში, უმეტესობა ამ ქალაქშიდანაა.

**- რამდენად ცდილობთ, შვილებს ქართული ენა საფუძვლიანად შეასწავლოთ?**

- თუ ადამიანი არ იცის, ისე ვერ მიხვდება, რომ ჩემი შვილები ქართველები არ არიან. ისინი სრულყოფილად ფლობენ ენას, ქართულ სკოლაშიც დადიან. თავისთავად, ისინი ფლობენ მამის ენასაც - იტალიურს. ინგლისურიც, რუსულიც ძალიან კარგად იციან და ცოტა - გერმანულიც, სკოლაში სწავლობენ. მე და მეუღლე დიპლომატების ენას - ფრანგულსაც ვასწავლით.

**- თქვენნი აზრით, რა არის მთავარი ადამიანის ბედნიერებისთვის?**

- მშვიდობა - სამშობლოში, რომ განვითარების საშუალება ყველას მქონდეს, შვილების ბედნიერება, ჯანმრთელობა და სავარელი ადამიანი, რომელიც მუდამ გვერდით გყავს. ასევე, სრულად ვაღიარებ ფსიქოლოგ მასლოუს მოთხოვნებიდან თეორიას ბედნიერების პირამიდის შესახებ. ადამიანი თვითრეალიზაციის გარეშე ვერ იქნება ბედნიერი.

**- ქანტურიშვილების მეოთხე თაობა ხა-**

რო, რომელიც ბათუმში ცხოვრობს. დედა ამ კუთხის მკვიდრია, მამა - გურული. ოჯახში გურული დიალექტი ზეობს თუ აჭარული?

- ჩემდა სამარცხვინოდ, გურიაში წეღს პირველად ჩვედი, ოჯახში მოვხვდი ბუკის-ციხეში, სიხარულიძეების ოჯახში ვიყავი სტუმრად. გაყინულ მდინარე სუფსაშიც ვიბანავე და ერთი ბედნიერი დღე გავატარე შვილებთან ერთად. მანამდე არასოდეს ვყოფილვარ გურიაში. ჩვენი გვარის ადგილის დედა სოფელი აცანაა და მსურს, მომავალში იქაურობაც დავლაშქრო. ისე, ძირძველ ბათუმელად ვგრძნობ თავს, აჭარის ნამდვილ შვილად. დედულეთი ქობულეთია, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს. ქობულეთი მონატრებაა უტკბილესი ბაბუასი - ხასან მუგანაძის, რომელიც საათობით გველოდა შვილიშვილებს... გადავუხვიე თემას, მოგონებებმა გამიტაცა. კილოკავი ყველას ბათუმური გვაქვს ოჯახში, მეც სიამოვნებით ვუქცევ შინაურებში ტვინის განსატვირთად, თუმცა, საჯარო გამოსვლებსა და პედაგოგიურ სარბიელზე ეს დაუშვებელი, ცუდ ტონად მერვენება... რომელი დიალექტიც უნდა იყოს.

**- გამოჩრეულად აფასებთ აჭარის მთიანეთში დაგანებულ ფოლკლორსა და ხალხურ პოეზიას...**

- ვერ გეტყვით, რომ პატარაობიდანვე ვაფასებდი. რომ ვავიზარდ, მიხვდები, რა არის გენეტიკური კოდი და სად ინახება ერის იდენტობის გასაღები. მაშინ გახდა ნათელი ფოლკლორის მნიშვნელობა. მთიანი აჭარა განსაკუთრებული განძია საქართველოსი, ასე სუფთად და სათუთად რომ შემოუნახა შთა-

მომავლობას კოდი... აჭარა ყველაზე დაზარალებული კუთხეა ისტორიულად, თუმცა უძლიერესი და ულამაზესი - თავისი მდგრადობით. იტალიური სიტყვაა Genuinita, ზუსტად არც ითარგმნება, მაგრამ გამოხატავს სისხეტაცეს, სისუფთავს, რაღაც ხელმეუხებელს. აქაური ბუნება ჰავით, ჩანჩქერებით, ვენახებით, ხალხი, სკოლის მოსწავლეები ყოველ ჭერზე მაცეცხენ. აქ ულამაზესი და უნიჭიერესები ბავშვები არიან. რაც ვთქვი მადლობა, გავიმეორებ - მთიანი აჭარა განძით სავსე დიდი კიბობანია. აქ მოსვლისას ახალ-ახალ მარგალიტებს აღმოვაჩინე ხოლმე.

**- თქვენი იტალიელი მეუღლე საბოლოოდ საქართველოში გადმოსვლას ნომ არ ფიქრობს?**

- ვერ გეტყვით. ჯულიომ ოცი წელი იცხოვრა საქართველოში. სამშობლო მაინც ერთია, თუმცა მეორეც შევიძინეთ ორივემ. ნოსტალგია სენია და არ იყურდება, შეიძლება ადამიანი კიდევ მოკლას. განება რას გვიმზადებს, არ ვიცით.

**- ამ მხრივ შვილების პოზიცია როგორია?**

- არ დავიმალოვ და, ერთი გადასვლა გადავიდით იტალიაში, მაგრამ შვილები არ გაჩერდნენ იქ... აქ ბედნიერი ბავშვობა მივცეით და ამიტომ დაბრუნდნენ მეგობრებთან, მოგონებებთან. სოციალურ ცხოვრებაშიც ჩაერთნენ. უფროსი შვილი სანდრო ბათუმის მერიის ახლგაზრდული საბჭოს ასოცირებული წევრია, ბათუმი ძალიან უყვარს. ეს მისი ქალაქია. მართალია, რომში დაიბადა და 6 წლამდე იქ იზრდებოდა, მაგრამ პიროვნებად აქ ყალიბდება. შვილები იტალიაში წელიწადში 2 თვეს ატარებენ.

**- ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს განაცხადით, რომ სპეციალურად ჩამოხვალთ მთიანი აჭარის სკოლებში და მოსწავლეებისთვის საინტერესო თემაზე ისაუბრებთ. თემა დიპლომატიასთან იქნება კავშირში თუ ახლანდელ სამსახურთან?**

- მინდა სინთეზური იყოს ჩემი საჯარო ლექციები, უმეტესად, კინოზე და ლიტერატურაზე ვისაუბრებ, იმ ცოდნაზე, რაც უფრო ელიტურ, ნაკლებად ცნობილი და აქ ვილაცას სულ სხვა განზომილებას გაუხსნის. საერთაშორისო ურთიერთობებზეც ვილაპარაკებ ერთხელ შუახვეში და ერთი გოგონა დამიკავშირდა, თქვენი პროფესია მინდა ავირჩიოთ. ახლა 100-პროცენტითაა გრანტის მფლობელი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. ლიზი პაქსაძე ეს მიზანდასახული, ნიჭიერი ახალგაზრდა. არ მინდა დაგვარდო დრო, რომელიც ყველაზე ფასეულია, ბევრი რამის მოსწრება მსურს. რაც უკვე ციცი - უნდა გავცე, რომ კიდევ მეტი შევიძინო და ისევ გავცე.





# ოპოზიციისა და მმართველი გუნდის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა

დარბაზი ბაზაიძე 514 22 22 80

როგორც ვიცით, აშშ-მა საქართველოს ყოფილი გენერალური კონსულის ფარცხალაძე სანქცირებულთა სიაში შეიყვანა, რის შემდეგაც, ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში დადგა მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი - უიშვიათესი ფაქტი, როდესაც მმართველი გუნდისა და ოპოზიციის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა! აზრთა თანხვედრა წარმოშვა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის „პაუზამ“ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისთან დაკავშირებით



**საქართველოს კანონით... როდესაც არსებობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დასკვნა, ამ შემთხვევაში - იუსტიციის სამინისტროსი, პირს, რომელსაც მიღებული აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. აქ კანონი სხვა საშუალებას არც იძლევა. შესაბამისად, როდესაც კანონით დადგენილი ყველა საბუთი სახეზეა, რათა ფარცხალაძეს შეუწყდეს მოქალაქეობა, პრეზიდენტი კი იყენებს იმ სამთვლიან ვადას, რომელიც დააანონსა, ძალიან გაუგებარია და ყოველგვარ აზრს, რაციონალიზმსაა მოკლებული**

სალომე ზურაბიშვილმა ჯერ კიდევ 19 სექტემბერს განაცხადა, რომ ის იუსტიციის სამინისტროს დასკვნის შემდეგ ფარცხალაძეს მოქალაქეობას მყისიერად გაუუქმებდა, დასკვნის მიღების შემდეგ კი გადაიფიქრა და გადაწყვეტილების მიღებას აღარ ჩქარობს. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ლამის ერთხმად აცხადებენ, რომ ფარცხალაძეს მოქალაქეობა სწრაფად უნდა ჩამოერთვას. პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი ანა დოლიძის განცხადებით, ყოფ-

ილ მაღალჩინოსანი ოთარ ფარცხალაძის მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიცია კითხვის ნიშნებში აჩნის: „პრეზიდენტმა თავად დაიწყო ფარცხალაძის მოქალაქეობის საკითხის წამოწევა, გამალებით ითხოვდა საბუთებს, რომ მისთვის მოქალაქეობა შეეწყვიტა. ამ დროს დღის წესრიგში იყო ბანკის გადაწყვეტილება და ფარცხალაძის დაკავება. მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხი თავად პრეზიდენტის წამოწეულია, თან სასწრაფო ფორმით. ამის გათვალისწინებით, განზრახუ-

ლის რამდენიმე დღეში გადაფიქრება უცნაურია, თან იმ ფონზე, რომ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ორივე „ოცნებელი“ ეროვნულ ბანკში თანამდებობებზე ინიშნება“. ფარცხალაძის საკითხზე გამოქვეყნებულ მორიგ განცხადებაში პრეზიდენტის ადმინისტრაცია აღნიშნავს: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადებისა და წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს“. ეს არის სა-

გარაუდო მინიშნება, რომ პრეზიდენტი ამ 3-თვიანი ვადით სარგებლობას გეგმავს. განცხადების ტექსტში პრეზიდენტის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ: „პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო ინსტიტუტებს აძლევს შესაძლებლობას, გონივრულ ვადაში მიიღონ ზომები და დაიცვან ქვეყნის რეპუტაცია და ინტერესები“. რაც შეეხება თავად პრეზიდენტს, მან მკაფიოდ განმარტა თავისი დამოკიდებულება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათია თურნავას გადაწყვეტილების თაობაზე: „როცა წყდება საქართველოს ევროპული მომავალი, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, გაუქმდეს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული „რუსული გადაწყვეტილება“.

როცა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა განცხადება და თქვა, რომ აუცილებლად მოაწერდა ხელს მოქალაქეობის გაუქმებას. ის დანაშაული, რაზეც ამერიკის შეერთებულ შტატებში საუბრობენ, ყველა შემთხვევაში, იმდენად მძიმეა, რომ შეესაბამება უწყვეტებმა უნდა მიიღონ ზომები მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა საქართველოს მოქალაქეობა რუსეთის წაშუშ ფარცხალაძეს! „ჩვენ გვასოვს, რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტმა სოციალური ქსელის მეშვეობით გააკეთა განცხადება, რომ ის დაუყოვნებლივ ელოდა იუსტიციის სამინისტროდან დასტურის ოთარ ფარცხალაძის მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ გააკეთა. მისი ქმედება უნდა განვიხილოთ ორ ჭრილში: პირველი - პრეზიდენტი ამას 24 საათში შეასრულებდა, მეორე - საქართველოს კანონით (მოქალაქეობის შესახებ პირდაპირ წერია), როდესაც არსებობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დასკვნა, ამ შემთხვევაში - იუსტიციის სამინისტროსი, პირს, რომელსაც მიღებული აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. აქ კანონი სხვა საშუალებას არც იძლევა. შესაბამისად, როდესაც კანონით დადგენილი ყველა საბუთი სახეზეა, რათა ფარცხალაძეს შეუწყდეს მოქალაქეობა, პრეზიდენტი კი იყენებს იმ სამთვლიან ვადას, რომელიც დააანონსა, ძალიან გაუგებარია და ყოველგვარ აზრს, რაციონალიზმსაა მოკლებული, ამიტომ გუწოდებ მას ცანცარა. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა 24 საათში არ უნდა შეცვალოს პოზიცია“, - გვითხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ლადო მაგლობლიშვილმა.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილმა ფარცხალაძის მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით სულსწრაფობა გამოავლინა, პარტია „ოცნება“ ბათუმის საკრებულოს წევრ ვაჟა დარჩიას მოსაზრება კი ასეთია: - პრეზიდენტის გადაწყვეტილება ფარცხალაძის მოქალაქეობისთან დაკავშირებით ჩემთვის, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი და გაუგებარია, განსაკუთრებით იმ ფონზე,

## პატარა ტიპი შინაური ცხოველები, მათი მოვლა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ამ ბოლო დროს ხშირად ისმის მოსახლეობის პროტესტი შინაური ცხოველების მეპატრონეების მისამართით. მეტწილად, კეთილსინდისიერი მფლობელების გარდა, ყველა ცდილობს, „შეუმჩნევლოს“ დატოვოს ის ტერიტორია, სადაც მათი ცხოველი მოიხატება. „შინაურების მიცემას აზრი არ აქვს“, - გვითხრა უკმაყოფილო ქალბატონმა, რომელსაც ზუსტად კონფლიქტის დროს შევესწარი

ეზოში მარტო ვერ გაგვიშვია. რომელ სამსახურშიც არ დავრეკეთ, ყველამ სხვასთან გადაგვამისამართა. ვეღარ მივხვდით, რომელ სამსახურს ეკუთვნის ეს პრობლემა. ახლა მხოლოდ მეგობრების იმედად ვართ, დილით რომ მოასუფთაონ ჩვენი უპასუხისმგებლო მეზობლების ან ნებისმიერი გამგლელის შინაური ცხოველის მოსაქმებული. ახლა საუბარს აღარ ვაგვარძელებ უპატრონო ძაღლებზე, ეს შორს წავგვიყვანს, - გვითხრა ინგა ბერიძემ.

მსგავს ტექსტებს სოციალურ ქსელშიც ხშირად ვაწყვდებით. იწერება, დაბინძურების გარდა, რამდენად საშიშია ფეკალური მასების ნიადაგში მოხვედრა. კერძოდ, ძაღლის ფეკალიები მილიონობით ნაწლავურ ბაქტერიასა და ჭიას შეიცავს, რომლის ნიადაგში, ჰაერსა და წყალში მოხვედრა ერთნაირად საშიშია ადამიანებისა და ცხოველებისთვის. გამოსავალი ყოველი სეირნობისას ბიოდეგრადირებადი პარკების გამოყენებით ფეკალიების გადაყრაა, ამის გაკეთება კი მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზე დამოკიდებულია, რაც ზოგს, სამწუხაროდ, არ გააჩნია.



შინაური ცხოველის მეპატრონისთვის კანონი მკაფიოდაა გაწერილი, რომ მან უნდა იზრუნოს ცხოველის კეთილდღეობაზე კონკრეტული ჯიშის ცხოველის ბიოლოგიური და

„ამათთან საუბარს აზრი აქვს?! ვცხოვრობ 16-სართულიან კორპუსში. აქ თითქმის ყველა ქიტი ცხოვრობს. მიხარია, რომ უფროსი შინაური ცხოველებს, მაგრამ ჩვენ რა დავაშავებთ? ბავშვები ვეღარ ვაგვიყვანებთ - ყველგან ფეკალიებია! აგერ, მე-7 სართულზე ცხოვრობს ბიჭი, დილით თავისით, უპატრონოდ ჩამოდის ძაღლი, პირდაპირ სადარბაზოში შარდავს. აქ ჩამოვლაც გაუსაძლისია, ისეთი სუნი დგას. არავინაა, ეს რომ გააკონტროლოს. ძაღლი ალიკაპის გარეშე რომ გაასეირნო, ჯარიმალა - ნეტა ვინ იცავს ამ კანონს ან ვინ აკონტროლებს?! ბავშვები

თა კოდქსში შეტანილი ცვლილების თანახმად, ძაღლის სახელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბუღვარში, პარკსა ან სკვერში, გამოიწვევს მფლობელის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 150 ლარით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 300 ლარით, თუმცა ეს კანონი არ და ვერ ეხება მიუსაფარ ცხოველებს, რომლებიც მოსახლეობს, მეტწილად კი ცხოველთა უფლებადამცველების იმედად არიან, არადა, მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. ამ ძაღლებს, მართალია, პატრონი ვერ ჰყავთ, მაგრამ მოქალაქეობის, რომელიც ამ ეტაპზე მიუსაფარი ცხოველები, ცდილობენ საკვები მიაწოდონ და საჭიროების შემთხვევაში, უმკურნალონ კიდევ საკუთარი სახსრებითა და სხვა ცხოველისმოყვარეულების დახმარებით. მალე ამ პრობლემას მთავრობა გადაჭრის - უკვე მეორედ დაანონსდა განახლებული ტენდერი ჩაქვეში ძაღლების თავშესაფრის ასაშენებლად. მათი განცხადებით, 12 000 კვადრატულ მეტრზე იპოდრომისა და სხვადასხვა სახელმწიფო კომპანიის ოფისებიც აშენდება. ეს, გარკვეულწილად, ზემოთ აღწერილ პრობლემას გადაჭრის, დღეს კი მთავარია, მოქალაქეობრივი თვითშეგნება ამაღლდეს.

**ბავშვები ეზოში მარტო ვერ გაგვიშვია. რომელ სამსახურშიც არ დავრეკეთ, ყველამ სხვასთან გადაგვამისამართა. ვეღარ მივხვდით, რომელ სამსახურს ეკუთვნის ეს პრობლემა. ახლა მხოლოდ მეგობრების იმედად ვართ, დილით რომ მოასუფთაონ ჩვენი უპასუხისმგებლო მეზობლების ან ნებისმიერი გამგლელის შინაური ცხოველის მოსაქმებული**



ეთოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. მეპატრონე ვალდებულია, ცხოველი უზრუნველყოს ისეთი გარემო პირობებით, რომელიც საფრთხეს არ უქმნის არც მას და არც სხვის ჯანმრთელობას, მისი სათანადო კვება და დაწესებულება, საძილე ადგილის გამოყოფა-მოწყობა, დათბუნება და განათება, ცხოველის გასეირნება და სათანადო ფიზიკური აქტივობა, ასევე, რაც მთავარია, ცხოველისთვის და გარშემო მყოფებისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა. შინაური ცხოველის მეპატრონემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ პარკებსა ან ლია სივრცეებში შინაური ბინადარი ცხოველების ალიკაპის ან სახელის გარეშე გასეირნებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-



# „ბიჯის“ გამარჯვებულები

მარიამ ხოთაშვილი 27 48 93

24 სექტემბერს დილა ჭაგვავადის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის დახურვის ცერემონია გაიმართა, რომელზეც გამარჯვებული ფილმები გამოვლინდა

მხატვრული ფილმების საერთაშორისო საკონკურსო სექციის, რომელსაც ხუთკაციანი ჟიური ავასება (გიორგი ოვაშვილი (საქართველო) - ჟიურის თავმჯდომარე, ანჟი სლოვიცი (გერმანია), მეჰმეტ ალი არსლანი (თურქეთი), დიანა მარტიროსიანი (სომხეთი), ნიკა აბრამიშვილი (საქართველო)), პრიზები ასე განაწილდა: საუკეთესო ფილმი - „კრიტიკული ზონა“, ალი აჰმადზადე, ირანი/გერმანია; საუკეთესო რეჟისურა - თინათინ ჯაჭიიშვილი ფილმისთვის „მოქალაქე წმინდან“, საქართველო/საფრანგეთი/ბულგარეთი; საუკეთესო მსახიობი ქალი - ეკა ჩავლეიშვილი - ფილმში „შაში შაში მაცვალი“, რეჟისორი - ელენე ნავერიანი, შვეიცარია/საქართველო; საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - მიშალ შურაგესკო - ფილმში „ნატეხები“, რეჟისორი ბეატა ძიანოვიჩი, პოლონეთი; ჟიურის

სპეციალური მოხსენიება - „შაში შაში მაცვალი“, ელენე ნავერიანი, შვეიცარია/საქართველო, და „ბლავას გაკვეთილი“, სტეფან კომანდარევი, ბულგარეთი/გერმანია.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო საკონკურსო სექციის ავასება სამკაცინი ჟიური თამარ ბართაიას (საქართველო, ჟიურის თავმჯდომარე), არტურ ვებერის (ესტონეთი), რუსუდან გლუჩიძის (საქართველო) შემადგენლობით. წარმოდგენილი იყო 20 მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ჟიურიმ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმად დაასახელა „გარდაცვლილი ქორწინება“ (მიხალ ტორეკი, პოლონეთი). ჟიურის სპეციალური დიპლომი გადაეცა „იხვებზე ნადირობას“ (გიორგი ქობალია, საქართველო).

ბათუმის კინომოყვარულთა კლუბის ჟიური (როი აბუსელიძე, ანა ორმოცაძე, დანი მეჩილიძე) ორი ფილმი აღნიშნა: „მოქალაქე წმინდანი“ (თინათინ ჯაჭიიშვილი, საქართველო/საფრანგეთი/ბულგარეთი) და „ნატეხები“ (ბეატა ძიანოვიჩი, პოლონეთი).

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე კინოში შეტანილი წვლილისთვის სამი ქა-

რთველი ხელოვანი დააჯილდოვეს. სპეციალური პრიზები ზურაბ ყიფშიძეს, რევაზ მახათაძესა და გიული ჩოხელს გადაეცათ.

კინოში შეტანილი წვლილისთვის ყოველწლიურად ვაჯილდოვებთ ხელოვანებს. წელს გადავწყვიტეთ მსახიობებიდან დაგვეჯილდოვებინა ზურა ყიფშიძე და რევაზ მახათაძე, რომელიც კინორჩევს უკვე ათწლეულებია, კურირებს და გარკვეული წვლილი მიუძღვის ისტორიის შენარჩუნებაში. ფესტივალის სპეციალური პრიზი გადაეცემა გიული ჩოხელს, როგორც ჯანის შემსრულებელ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ლეგენდარულ ქართველი ქალს, - გვითხრა ფესტივალის ორგანიზატორმა და მენეჯერმა ზვიად ელიზინამ.

ჩემთვის ეს პრიზი ყველაზე სასურველია, რადგან ჩემს ქალაქში მივლევ უღრმესი მადლობა ფესტივალს. რომ არა გადამდები რგუფი - მე არაფერი ვიქნებოდი. მათ შემქმნეს და „დამამონტაჟეს“. ერთი რამ უნდა აღვნიშნო: თუ არ იქნება თავისუფლება, ვერ გადავიღებთ თავისუფალ კინოს, - განაცხადა დაჯილდოებისას ეკა ჩავლეიშვილმა.

ძალიან კარგია, რომ ჩემს უსაყვარლეს ბათუმში კინოფესტი-



ვალი მე-18-ედ ჩატარდა. ერთხელ უკვე ვმონაწილეობდი ამ ფესტივალში ზანა ურუშაძესთან ერთად, ფილმით - „სამი სახლი“. შეიძლება მინორული განწყობა შემოვიტანო, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა: ძალიან ბევრი ადამიანი დაგვარგეთ, არ შემიძლია ზანა ხალვაში არ ვახსენო... მისი მამა, ბატონი ფრიდონი, ასევე, ჩემი კოლეგა, რომე-

ლთან ერთადაც 25 წელი ვთამაშობდი სცენაზე, მათ შორის, ბათუმშიც - მისა გომიშვილი... უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის, ძალიან თბილი ხალხი ხართ, - თქვა მსახიობმა ზურა ყიფშიძემ.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი იყო ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანი“.

# ფესტივალური „შემოდგომა - ღორჯომში“...

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

საუკუნეებია, ეფერება ღორჯომისხეობელი მამულს, ქვეყნის შთამომავლობას უზრდის, ქართულ ჯიშს, გენს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ამრავლებს, ეროვნულ ადათ-წესებს უფრთხილდება და საუფლებად იხსნავს

ზეგნებზე მიტოვებულ, გავრანებულ სოფლებს. ნინოწმინდის სამ და წალკის რამდენიმე სოფელში ღორჯომელები ახლაც სახლობენ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სპასოვკაში სახალხო დღესასწაული „ღორჯომობაც“ წამოიწყეს...

ღორჯომის ხეობის მკვიდრმა ბეჟან გორგაძემ და მისმა მიმდევრებმა ერთი წლის წინ საინიციატივო ჯგუფი „ფესტივი“ ჩამოაყალიბეს. მათ ხეობის ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი და მოძრაობა „ღორჯომი გვაერთიანებს“ დააფუძნეს. მათი უპირველესი მიზანი იმ ადათ-წესების, ეროვნული ტრადიციების

წარმოჩენა და პოპულარიზაციაა, რომელიც ხეობის ცალკეულ სოფლებშია შემონახული. სწორედ მათი და „ღორჯომის ახალგაზრდული ორგანიზაციის“ ინიციატივით, ღორჯომის ადმინისტრაციული ერთეულის ორგანიზებით, პირველად გაიმართა ფესტივალური „შემოდგომა - ღორჯომში“.

ხეობის ღირსეული და წარმატებული ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ სიახლეების შემოტანასა და დანერგვას. თავის დროზე, აწ განხერხებულმა თამაზ ირემიძემ და 90 წელს მიტანებულმა იოსებ ვანაძემ სახალხო დღესასწაულები „ჩუღურაულობა“ და

„ზოტიველობა“ წამოიწყეს, შემდეგ მათ „ნათელათობაც“ შეემატა. ეს ზემოთხსენებული იალღებზე ტარდებოდა და ის დატვირთვა არ ჰქონდა, რაც ახლანდელ ფესტივალს - „შემოდგომა ღორჯომში“ ექნება. ტერიტორია საგულდაგულოდ შევარჩიეთ. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ სოფელ გორგაძეების მოსაზღვრე ტერიტორიაზე - წითელაურში მალე ახალი ლოკაცია გვექნება. ეს ტერიტორია საცხენოსნო ბაზასაც დაიტევს და ყოველწლიურად ფესტივალსაც იქ გავმართავთ, - გვითხრა ზემოთხსენებულის ბეჟან გორგაძემ.

ს. მე-8 გვ.

# ხიხანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ყოველწლიურად გაიმართება

მე-3 გვერდიდან

აჩვენა, თუ რამდენ ენობრივ და კულტურულ სიმდიდრეს იხსნავს ზემო აჭარის ეს ხეობა და თუ დროზე არ მოხდა ამ არეალის ენისა და კულტურის თანამედროვე ციფრუ-

ლი მეთოდებით დოკუმენტირება და არქივირება, შესაძლოა, ის ძალიან მალე გაქრეს და ვეღარ შემოგუნახოთ მომავალ თაობას. პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე, სტუდენტების მხრიდან მისდამი გამოვლენილი ინ-

ტერესის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პროექტს მივცეთ ტრადიციული ხასიათი და საზაფხულო სკოლა ზემო აჭარაში ყოველ წელს გავმართოთ“.

2023 წლის ხიხანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში მო-

წარმოებდა 20 სტუდენტი საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ მანანა თანდაშვილის ინიციატივით, მომავალ საზაფხულო სკოლაში, სტუდენტების გარდა, უფროსკლასელების ჩართვაც გადაწყდა. ამისათვის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა - საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი მონაწილის დიანა ზოიძის ინიციატივით, მანანა

თანდაშვილი შეხვდა შუახევის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელ ედუარდ გოგრაძეს და შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე პროფესორმა მანანა თანდაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტექნოლოგიების დანერგვა სწავლასწავლების პროცესში“.

# „ამოკძალი ხარ, მკარდმოჭრილი, უსაქართველოდ“

მე-4 გვერდიდან

როგორც ცნობილია, 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში რკინიგზის დაცვის განზრახვით გადაადგილდა, რასაც სამხედრო ესკალაცია მოჰყვა და აფხაზეთში დაიწყო ომი, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს დასრულდა იქიდან ქართველების გამოდევნით. შედეგად მივიღეთ სამასი ათასზე მეტი დევნილი, ქართული მოსახლეობის ეთნოწმინდა და დსთ-ში საქართველოს შესვლა. ამ ეთნოწმინდაზე დასავლეთმა ხმა არ ამოიღო. რატომ? ჯერ ერთი, ამაში ბრალი საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასაც მიუძღვის. თბილისის დიად უნდა დაედანაშაულებინა რუსეთი აფხაზეთის ოკუპაციასა და ეთნოწმინდაში

და მისთვის სამშვიდობო მანდატი არ გადაეცა. რატომ არ მოიქცა ასე? საქმე ისაა, რომ იმ დროს არსებული ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ წაგებული ომისა და გაპარტახებული ეკონომიკის გამო. დასავლეთ საქართველოში ზვიადისტები აქტიურობდნენ და ეროვნულ დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ მთავრობას, მოითხოვდნენ შევარდნაძის გადადგომას. როგორც ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე აცხადებდა: „იმდროინდელმა ხელისუფლებამ ადმირალ ბალტიისის მხარდაჭერით გაანადგურა პროზვიადისტური ძალები სამეგრელოში და ამის ნაცვლად დსთ-ში გააერთიანა ქვეყანა, ხოლო თბილისში ხალხი

დააჩოქა, რომ მისთვის ეთხოვა ხელისუფლებაში დარჩენა. რუსეთმა შეძლო საქართველოში ლოიალური ხელისუფლების მოყვანა და ტერიტორიების ანექსირება“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფარულად რუსეთის შეიარაღებული ძალები, სპეცსამსახურები, სეპარატისტები და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები ებრძოდნენ, ჩვენი ჯარი, ადგილობრივი მოსახლეობა 13 თვე მედგრად იცავდა სამშობლოს, მის ღირსებას. ეს მაშინ, როცა დასავლეთისგან არანაირი დახმარება არ მივიღეთ, დიპლომატიური ზეწოლაც კი არ განხორციელდა რუსეთის მიმართ. ამით ყველაფერი ნათქვამი. დასავლეთი უფრო პრინციპული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, ანუ დაეწე-

სებინა მისთვის ეკონომიკური სანქციები 90-იანი წლების დასაწყისში, ახლა მსოფლიო უკრაინის ტრაგედიის მომსწრე არ იქნებოდა.

ამჯერად მსოფლიო გამოფიზილდა. ყველა ხედავს რუსეთის სიფრთხილს. პუტინის ქალაქებმა არაადამიანობაში ფაშისტებს აჯობეს. ათასობით დახოცილი უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქის ისტორიები აშკარად ეხსიანება. მარტო ბუჩაჩა რად ღირს, არადა, სანამ ეს ტრაგედია გამედევნებოდა, მანამდე იყო ვაგრა, ქართველთა ხოცვა-ჟლეტა - ამის შესახებ უნდა გაიგოს მსოფლიომ.

დავუბრუნდეთ დღევანდელ რეალობას: აფხაზეთი ოკუპირებულია, მისი დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა, არადა, კრემლს ხელს არ აძლევს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მისი მიზანია ამ ტერიტორიის მითვისება. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ჩვენი ყოფნა აფხაზეთისთვისაც და ოსებისთვისაც

მომგებიანი იყოს.

აფხაზეთის დაკარგვა საქართველოზე მძიმედ აისახა - ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთს გააქვს წიაღისეული, ეკოსისტემა საველელო მდგომარეობაშია, ეკონომიკა მოშლილია, აფხაზეთ რუსეთში მიდის ფულით საშოვნელად და მის ადგილზე რუსი სახლდება. მოკლედ, აფხაზეთს უნდა ავუსხნათ, რომ რუსეთი მათი დაუძინებელი მტერია, მისი მიზანია აფხაზეთის გარუსება, ქართველებთან კი მათ ყველანაირი პირობა ჰქონდათ და ექნებათ ნაციონალური ინტერესების დასაცავად.

აფხაზეთი ჩვენი მოუშუშებელი ტკივილია, თუმცა იმედი, რწმენა მისი დაბრუნებისა ქართველის გულში მუდამ ანთია. ამ ტკივილმა ათქმევინა პოეტ შოთა ნიშინაძის: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი შვილის გამზრდელი, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.

აფხაზეთი საქართველოა! რუსეთი ოკუპანტია!

<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ ხოთაშვილი</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p><b>გამომცემი</b> - შპს „ბანკიტი აჭარა და ალპარია“</p> <p><b>კოორდინირებული მომსახურება</b> - შპს „კოლორ პრინტი“</p> <p><b>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაღდაშვილის ქ. №3</b></p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგადადროვის ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>აიწყო და აკაპალონა</b></p> <p><b>გაზეთი აჭარის კომ. ცენტრი</b></p> <p><b>დასაბუღავ ხელმოწერილია 27/09/23, 17 წ. სტ.</b></p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>გამუკა პერიკე</b></p>
--	--	--	--	--	---



# გოდე გორბილაძის „საბა“ და ამავე „რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფე“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მიანია, რომ გულწრფელობა ის მთავარი „იარაღი“, რითაც მოიპოვებ ადამიანებს, ამ შემთხვევაში, მკითხველის ნდობას. თვლის, რომ ყველა წარმატება, რომელიც ცხოვრებაში მოდის, დიდ სიხარულთან ერთად, პასუხისმგებლობაც არის და ერთგვარი ტვირთიც, რომელიც უნდა შეძლო და ღირსეულად ატარო. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ლიტერატურული პრემია „საბას“ მფლობელი გოდე გორბილაძე - ბათუმელი ახალგაზრდა საინტერესო ხედვითა და მიზნებით.



**- ახლანდელი თქვენი წიგნი „რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფე“ ლიტერატურული პრემიის მფლობელი გახდა ნომინაციაში - მკითხველის „საბა“. რა შეგრძნება დაგეუფლათ, როცა გამარჯვებულად გამოაცხადებდნენ?**

- როცა ჟიურის წევრებმა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, პირველი შეგრძნება, რაც დამეუფლა, შიში იყო. უფრო კონკრეტულად, შიში სცენაზე ასვლის და მდენი ხალხის წინაშე საუბრის... ეს, ცოტა ხუმრობით. რაც შეეხება მთელ ამ ამბავს, უბედნიერესი ვარ. მაინტერესებს კიდევ, ეს სიხარული შეგრძნება როდის გამოიწვევდა, ან გამინდობდა თუ არა საერთოდ. ჩემთვის „საბას“ პრემია დიდი პატივია. როდესაც ხედავ, რომ მკითხველის ჟიური შენს ნაწარმოებს ასახელებს საუკეთესოდ, გიჩნდება გარკვეული პასუხისმგებლობის განცდაც.

**- მოგვიყვით წიგნზე, მის მთავარ სათქმელზე...**

- რაც შეეხება ჩემს წიგნს, ერთი დასკვნა გამოვიტანე - ძალიან ძნელი ყოფილა საკუთარ წიგნზე და მის სათქმელზე საუბარი, მაგრამ გეცდები, მოკლედ ჩამოგაყალიბო ძირითადი ხაზები. პირველ რიგში, ეს არის მოთხრობების კრებული. წიგნი შეიქმნა მოთხრობის ანტიანების, რომელიც დაწერილია 2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც სტუდენტობა გავხდი და თბილისში გადავედი საცხოვრებლად. უცერად აღმოვჩნდი სახლსაგან, ოჯახსაგან შორს და ჩემ წინაშე სრულიად ახალი სამყარო გადმოვხატა. სწორედ ამ ახალ სამყაროში დავიწყე ამბების, პერსონაჟების შეგროვება და მათზე წერა. მაგალითად, ერთ-ერთ მოთხრობაში „წუხი ხმაურით, თქვე მაიმუნებო!“ მთავარი პერსონაჟი მოხუცი ქალია, რომელიც რეალურად ცხოვრობდა

ჩემი და ჩემი მეგობრების ბინის ქვედა სართულზე და სრულიად უმიზეზოდ გვიჩიოდა ხმაურზე. რაც შეეხება წიგნის მთავარ სათქმელს, ნამდვილად გამიჭირდება ამის კონკრეტულად გამოყოფა. იმის თქმა შემიძლია, რომ მოთხრობების პერსონაჟები, ძირითადად, ახალგაზრდები, მათ შორის, სტუდენტები არიან და მათი ყოფითი ამბები თუ ყოველდღიური პრობლემები გადმოცემული.

**- როგორ დაიწყო და განვითარდა მწერლობასთან თქვენი კავშირი?**

- კითხვის სიყვარულით. მასხოვს, ბავშვობაში ოპერის მოთხრობები წავიკითხე და იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მომიხდა, წერა დამეწყო. რაღაც პერიოდში, ბავშვობაში სულ ვწერდი, თუმცა ამ გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, ეს ბავშვური, ნაივური ჩანაწერები იყო. პირველი „სერიოზული“ შეხება მწერლობასთან იყო ლიტერატურული კონკურსები.

2020 წელს მონაწილეობა მივიღე სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში „შემოდგომის ლეგენდა“, სადაც ჩემმა მოთხრობამ „ავტობუსი №37“ გაიმარჯვა. შემდეგ, 2021 წელს, როდესაც თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი გახდა, კვლავ ჩატარდა სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა ჩემმა მოთხრობამ „დღი და მცირე წერე“, ასევე, საქართველოს ბანკის რჩეულიც გახდა. ლიტერატურულ კონკურსებს აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეებიც. ჩემს შემთხვევაში, მხოლოდ დადებითი რო-

ლი თამაშია, უფრო მეტი თავდაჭერება შემმატა. საბოლოოდ კი 2022 წელს გამოცემლობა „ინტელექტმა“ დაბეჭდა ჩემი მოთხრობების კრებული „რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფე“ და უკვე როგორც წიგნის ავტორი, ისე აღმოვჩნდი ლიტერატურულ სამყაროში.

**- რა შეიძლება გახდეს წერისას თქვენთვის ინსპირაციის წყარო?**

- ძალიან ბევრი რამ, შეიძლება, ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამეც კი. მთავარია, მასში დავიჭირო რაიმე საინტერესო, ისეთი, რაც ჩემში ემოციებს გამოიწვევს. თუმცა, ინსპირაცია ბევრია, დღეში შეიძლება ძალიან ბევრმა რამემ მიიქციოს ჩემი ყურადღება, მაგრამ შემდეგ ისმის მთავარი კითხვა, რა ღირს დასაწერად და რა - არა? აქ ერთგვარ ფილტრს ვიყენებ, თუკი ამბობ, პერსონაჟი, მომენტი თავს არ მანებებს, დიდი ხნით თავში მიტრიალებს, ვხედები, რომ უნდა დავწერო და ერთგვარად განვთავისუფლდე...

**- წერის პროცესი ჭკავს...**

- ერთგვარ თამაშს, ძალიან აზარტულია. მიყვები ფიქრებს, სიტყვებს, წინადადებებს, ქმნი პერსონაჟებს, რაღაც მომენტში შენც გაინტერესებს, სადამდე მიიყვანს ეს ყველაფერი. სანამ კლავიატურამდე მივალ, პირველ რიგში, თავში გწერ... დიდხანს ვფიქრობ პერსონაჟებზე, სიუჟეტურ ხაზებზე. ყველაზე მეტად სიარულის პროცესში ვალაგებ ამ ყველაფერს. შემდეგ მივდივარ კლავიატურასთან და ვიწყებ წერას. წერის დროს უფრო და უფრო შედის აზარტი, თან ერთობით, თან წვალობით, იჭედები, ეძებ გამოსავალს. ეს პროცესი ძალიან პარადოქსულია, როგორც სასიამოვნო, ასევე, დამაღლიცი...

**- ლიტერატურის მიღმა...**

- 2022 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პროფესიით იურისტი ვარ. ამჟამად ვმუშაობ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ადამიანის უფლებათა პროგრამაში. მინდა საერთაშორისო სამართლის შესწავლა, აქტიურად ვეძებ სამაგისტრო პროგრამებს და დაფინანსებებს. მსურს, მომავალ წელს ევროპაში დავიწყო მაგისტრატურაში სწავლა. იქ ხარისხიანი განათლების მიღების შემდეგ კი, ალბათ, დაგბრუნდები საქართველოში და განვაგრძობ ადამიანის უფლებების დაცვას ჩემს ქვეყანაში.

**- როგორია თქვენი წილი ბათუმში და რა ემოციებს გაძლევთ ეს ქალაქი?**

- ბათუმი ჩემთვის კომფორტის ზონაა და ამ კუთხით არ მომწონს. როდესაც აქ ვარ, ბათუმზე ვერ ვწერ, მაგრამ როგორც კი თბილისში გადავდივარ, საცხოვრებლად, ჩემი პირველი მონატრებამ დამაწერინა. ამ მოთხრობაში ორი ბათუმელი სტუდენტის ამბავია გადმოცემული, რომლებსაც შეუქმნია „სწორედ ბათუმის მონატრებამ დამაწერინა“. ამ მოთხრობაში ორი ბათუმელი სტუდენტის ამბავია გადმოცემული, რომლებსაც შეუქმნია „სწორედ ბათუმის მონატრებამ დამაწერინა“.

**მი და რა ემოციებს გაძლევთ ეს ქალაქი?**

- ბათუმი ჩემთვის კომფორტის ზონაა და ამ კუთხით არ მომწონს. როდესაც აქ ვარ, ბათუმზე ვერ ვწერ, მაგრამ როგორც კი თბილისში გადავდივარ, საცხოვრებლად, ჩემი პირველი მონატრებამ დამაწერინა. ამ მოთხრობაში ორი ბათუმელი სტუდენტის ამბავია გადმოცემული, რომლებსაც შეუქმნია „სწორედ ბათუმის მონატრებამ დამაწერინა“. ამ მოთხრობაში ორი ბათუმელი სტუდენტის ამბავია გადმოცემული, რომლებსაც შეუქმნია „სწორედ ბათუმის მონატრებამ დამაწერინა“.

**- რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

- პირველ რიგში, როდესაც საყვარელ ადამიანებს ვხედავ ჯანმრთელებს და ბედნიერს. მე რაიმეს მოგუხერხებ ჩემს თავს, მომენტებში გავაბედნიერებ კიდევ, მაგრამ ამისთვის საჭიროა სხვების უბედურებას არ ვხედავდე.

**- რომელ წიგნში გადახვიდოდით ცოტა ხნით საცხოვრებლად და რატომ?**

- ფრენკ ბაუმის „ოზის საოცარ ჯადოქარში“. მართალია, გვიან წავიკითხე, თუმცა, ამ პატარა ზღაპარმა ძალიან კარგი ემოციები დამიტოვა. იმიტომ გადავიხილე, რომ ძალიან მარტივი და კარგი სამყაროა უცნაური არსებებით, ცხოველებით, რომლებიც საუბრობენ, გენმარებინან... ბოროტებას ამარცხებ უმარტივესად და აბა, სხვა რა უნდა გინდოდეს კაცს ცხოვრებისა?

**- მკითხველის ნდობა რომ მოიპოვო, საჭიროა...**

- იყო გულწრფელი. თუკი ეცდები, რომ მკითხველი მოატყუო, გაიპარა, წერა ისე, როგორც არ შეგიძლია, მის ნდობას ვერასოდეს მოიპოვებ. საერთოდ, არ უნდა იფიქრო წერის დროს იმაზე, რომ ამას წაიკითხავ, არ უნდა გყავდეს არავინ მხედველობაში ამ დროს და იქნება გულწრფელი. გულწრფელი ტექსტები კი მკითხველის ნდობას ნამდვილად დაიმსახურებს. მე ასე ვწერ.

**- რომელი უნარის მუსიკას შეადარებდით საკუთარ თავს?**

- ძალიან ხშირად მეცდებოდა გავ-

წყოება და ხასიათი, ამიტომ, ალბათ, ყველა უნარის მუსიკასთან შემიძლია თავის შედარება. ჩემი „ფლელიტიტი“ ქაოსურია - ხან კლასიკური მუსიკა, ხან როკი და ხან კიდევ ჯაზი.

**- ლიტერატურის როლი ადამიანების ცხოვრებაში...**

- ლიტერატურა ადამიანებს გეუბნება, რომ მარტოები არ ვართ, რომ შეგვიძლია დავმტკიცდეთ, შეცდომებიც დავუშვებთ... ლიტერატურა გვიჩვენებს უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, გვაძლევს საშუალებას, განვიტვირთოთ, მოვწყდეთ ყოველდღიურობას და ვიცხოვროთ სხვაგან, სხვა სამყაროში, სხვა ცხოვრებით...

**- ნიჭი, რომელიც გსურთ რომ გქონდეთ?**

- სიმღერის ნიჭი. კარგად ვსრულვებულ კარგ მუსიკას რომ ვუსმენ, რაღაცნაირად მშურს ამ ადამიანების, რომ აქვთ ასეთი ხმა და ასეთი ემოციების გამოწვევა შეუძლიათ მსმენელში.

**- როგორ წარმოგიდგენიათ „რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფის“ მოგზაურობა რიო-დე-ჟანეიროსში თქვენთან ერთად?**

- ჩემს მოთხრობაში რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფედ ქრისტეს ქანდაკებას ვგულისხმობ. ამიტომ, პირველ რიგში, ამ ქანდაკებასთან მივიდოდი და მის ფონზე ერთ კარგ სეულს გადავიღებდი ჩემს წიგნთან ერთად...

**- წლების შემდეგ, მინდა ჩემზე თქვან...**

- არ მაქვს ამბიცია, რომ წლების შემდეგ ჩემზე რაიმე თქვან, მიჩვენია, საერთოდ არავის ვახსოვდები, ვიდრე უარყოფითად ვახსოვდები. თუკი მაინცდამაინც რაიმე უნდა ითქვას, ერთ-ორი კარგი სიტყვა მიჩვენია, მაგალითად ასეთი: კარგად წერდა, ან - როგორც იურისტი, ბევრ ადამიანს დაეხმარა.

**- ბათუმში როდის გაიმართება თქვენი წიგნის წარდგენა და აქვე გკითხავთ: როდის გელოდით თქვენს ახალ წიგნს?**

- 4 აგვისტოს ბათუმში, ერას მოედანზე, ჩემი წიგნის გაყიდვა მოეწყობა გამოცემლობა „ინტელექტის“ პროგრამის „მოთხრობები წიგნების ფარგლებში“. უშუალოდ პრეზენტაციაზე ჯერჯერობით, სამუხარუნოდ, არ მაქვს ინფორმაცია. რაც შეეხება ახალ წიგნს, რაღაცნაირად ცხებ ვმუშაობ. ვწერ, თუმცა როდის მიეცემა ამას წიგნის სახე, არ ვიცი.

## ფესტივალი „შამოდგომა - ღორჯოში“ ...

მე-7 პედაგოგის

- ჰორიზონტს რომ გავხედო, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მართლაც ღვთისმშობელი და დალოცვილი ქვეყანა გვაქვს. ზეიმზე ოცამდე ტუროპერატორი და გიდი წამოვიყვანეთ, რათა ხეობას, აქ შემონახულ ფოლკლორს, კულინარიას, ხელოსნობის ნიმუშებს უკეთ გავცნოთ. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორებს რეალური ინფორმაცია მიაწოდონ, - აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე სექტორის“ მენეჯერმა ციალა ქათამაძემ.



ხულოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა პირველად საპატრიო სტუმრები და მოზეიმენი მხატვრების ესმა, ბადრი ართმელაძეების, მამუკა კობრენაძის ნახატების გამოფენაზე მიიწვიეს. თავიანთი ხელნაკეთობები, ნაქარგანქოვები, სამკურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები მოიტანეს ზეიმზე ნაიღვ აბულაძემ, თეონა ბერიძემ, თემურ ართმელაძემ, მარინა აბაძემ. ხეობაში ისევ არიან ხელოსნები, რომლებიც ურემს, ხის ჭამებს, კარაქის შესადღვებ „გარიებს“ ამზადებენ. მიხეილ გორგაძისა და სულიკო ბერიძის ნაკეთობებს ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავდა.

რჩვენას, - თქვა აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძემ.

სახელდახელო სცენიდან მონაწილეებს ზეიმი მიულოცეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თარგმანის რენარ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტყარაძემ.

- დღეს სათავე დაედო ახალ ფესტივალს „შემოდგომა ღორჯოში“. ინიციატორთა ერთ-ერთი უზიანში, საზოგადოების თანადგომა, ზეიმზე დამსწრეთა როდენობა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამ წამოწყებას ღირსეული გავრცელება ექნება, - თქვა „აჭარასთან“ საუბარში ხულოს მერმა ვახტანგ ბერიძემ. ხულოს კულტურის ცენტრთან ღორჯოშის, საციხ-

ურის, კულტურის სახლებთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა - „არგინთი“, „ღორჯოში“, „საციხური“, ხულოს სახელოვნებო სკოლის ანსამბლმა „ციციანთელა“ ადგილობრივი ფოლკლორული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. მოზეიმენებს ლექსით მიესალმა პოეტი მიხეილ მელაძე, მანვე ფესტივალს უსახსოვრა ორტომეული, რომელშიც მისი ლექსებია შეტანილი. სახალხო მითქმელებმა, პედაგოგებმა საკუთარი და ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს.

- წელს დაწესდა „საპატრიო ღორჯოშის“ წოდება. პირველად ფესტივალზე ეს წოდებები მიენიჭათ ცნობილ მოსამართლე ნუგზარ მეგლაძეს, პოეტ მიხეილ მელაძეს, ვეტერან პედაგოგებს მარგო მელაძეს, გიორ-

გი ბერიძეს, ღორჯოშის მერეთის იმამ თამაზ გორგაძეს. მათ საპატრიო ღვთისმშობელი ეთის, ხელგაჩურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერებმა ლევან ზოიძემ, ზაზა დიასამიძემ, როლანდ ბერიძემ, ომარ ტაკიძემ, ვახტანგ ბერიძემ გადასცეს.

ფესტივალის მონაწილეთა სახელით მადლობის ბარათები გადაეცათ „ფესტივალს“ და „ღორჯოში გვერთიანებს“ ხელმძღვანელებს. ბიზნესმენმა გოჩა ირემაძემ და სხვებმა „საპატრიო ღორჯოშელებს“ საჩუქრები გადასცეს.

ზეიმს სპორტული სანახაობაც არ აკლდა. ყველაზე მეტი გულშემატკივარი დოღს ჰყავდა. სხვადასხვა დისტანციაზე მურად გორგაძემ, თორნიკე თოდრიამ, მალხაზ ძირკვაძემ და მურად ხარაბაძემ გაიმარჯვეს. ფრენბურთში სოფელ ტუნაძეების გუნდი იყო პირველი, ბაგირის გადაწევაში კი სოფელ გორგაძეების გუნდი. მკლავჭიდში, სიმძიმის აწევასა და გირის გადაღებაში ალექსანდრე შავაძემ, გია გიორგაძემ და თამაზ ჭელიძემ იმარჯვეს. 40-მდე ჭაბუკი მონაწილეობდა მარათონში. აქ მეკეციებელი მამული მიქელაძე იყო პირველი. გამარჯვებულ გუნდებს, მხედრებსა და სპორტსმენებს თასები, მედლები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

- ისევ დავსწრები ასეთ ფესტივალს. ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ვნახე და მოვისმინე ფოლკლორის უბადლო ნიმუშები, დავათვალიერე ხელოვნების და ხელოსნების ნამუშევრები, დავესწარი სპორტულ ასპარეზობებს, კმაყოფილი ვტოვებ ღორჯოშს, - გვითხრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა.